

“თუ ვიცხოვრებთ საკუთარი ილუზიების ძყვეობაში,  
არაფერი გამოვა, გვყირდება მეთი მანევრი და გონიერება”



*„აქცენტის“ ინტერვიუ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ ქეთევან ციხელაშვილთან.*

*- აგვისტოს 5-დღიანი ომიდან 11 წელი გავიდა. ამ დროის განმავლობაში გვექონდა დეოკუპაციის სხვადასხვა გეგმები. რა ეტაპზე ვართ ახლა, რა გვაქვს ხელთ?*

- პირველ რიგში, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ის, რაც მოხდა 11 წლის წინ – ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია - არ დასრულებულა, ამ ტრაგიკულ შედეგებთან გამკლავება ახლაც გვიწევს და ასე იქნება მანამ, სანამ არ მივაღწევთ მიზანს - დეოკუპაციას. ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკის ერთ–ერთი მთავარი “სვეტი” ეს არის, რა თქმა უნდა - მშვიდობიანად.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე “სვეტი” - მოვახერხოთ ხელოვნური ბარიკადებით დამორეზული საზოგადოებების შერიგება.

ეს ორი “სვეტი” დგას საძირკველზე, რომელსაც მშვიდობის შენარჩუნება ჰქვია. ეს ჩვენთვის სასიცოცხლო ინტერესია და თქვენი კითხვის საპასუხოდ - სად ვდგავართ? - პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ დღეს გვაქვს მშვიდობა - თუნდაც ძალიან

პირობითი (ადამიანებს აკავებენ, ტრაგედიები ხდება, როგორც ჩვენი ოთხი თანამოქალაქის შემთხვევაში მოხდა): ის, რომ არ ვართ ჩათრეული დიდ ომში, დიდ ესკალაციაში და ეს – არსებულ ძალიან ფეთქებადსაშიშ გარემოში, მიღწევად მიმაჩნია. ეს არ არის თავისთავადი მოცემულობა, ამას ძალიან ხშირად შრომა და პროვოკაციების განეიტრალება სჭირდება, რაც ყოველთვის მარტივი როდია.

და ის, რომ ამ ვითარებას არა მარტო ვინარჩუნებთ, არამედ პროგრესიც გვაქვს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით (ამ წუთებში, როდესაც თქვენ გესაუბრებით, აქ ნატო-ს მასშტაბური წვრთნები ტარდება, ბოლო წლების განმავლობაში ევროკავშირთან ინტეგრაციის კუთხითაც ყველაზე ხელშესახები შედეგები გვაქვს უვიზო მიმოსვლის თუ თავისუფალი სავაჭრო სივრცის სახით), ესეც მიღწევად მიმაჩნია. რუსეთის მთავარი მიზანი საქართველოში და ზოგადად სამეზობლოში ისაა, რომ ომით, ინტერვენციით, ოკუპაციით გავლენა მოახდინოს ქვეყნების განვითარების კურსზე. ჩვენ კი პროგრესი გვაქვს და ეს მისწრაფება ურყევია.

გარდა ამისა, ჩვენ მნიშვნელოვანი საერთაშორისო მხარდაჭერა გვაქვს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ. ის, რომ რუსეთის აღიარების პოლიტიკა ჩავარდა, ჩვენი და ჩვენი მეგობრების დამსახურებაა...

- მაგრამ ცოტა ხნის წინ მომსრწენი გავხდით სირიის მხრიდან [ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. დამოუკიდებლობის] აღიარებისა...

- მანამდე ორმა წყნაროკეანურმა კუნძულოვანმა ქვეყანამ უკან წაიღო აღიარება, რომელიც ადვილი მისახვედრია, რა გზებით მიიღო მათგან რუსეთმა.

**“ე.წ. აღიარებას აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებში ეიფორია არ მოჰყოლია”**

დიახ, წინა წელს იყო სირია, ომის მე-10 წლისთავზე ასეთი “საჩუქარი” გაუკეთა რუსეთმა [სოხუმსა და ცხინვალს]. თუმცა მეექვსეა, ეს იქ [ოკუპირებულ ტერიტორიებზე] ასე ყოფილიყო აღქმული: დიდი ეიფორია ამას არც აფხაზურ საზოგადოებაში მოჰყოლია, არც ოსურში, რადგან ყველა ხვდება, რომ ასადის რეჟიმის მიერ აღიარება არ არის ის “დიდი გარღვევა”, რომლის გამოც შეიძლება, ეიფორიას მიეცე.

მეტსაც გეტყვით: ჩვენთვისაც და, რა თქმა უნდა, თავად აფხაზური და ოსური საზოგადოებებისთვის სამწუხაროდ, ამ ე.წ. აღიარებების დაწყების მომენტიდან ამოქმედდა [აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის] რუსეთზე სრული დამოკიდებულების “მანქანა”: ამ რეგიონების მილიტარიზაცია, იქიდან საერთაშორისო მისიების გამოყრა, [მოსკოვთან] კაბალური ე.წ. შეთანხმებების გაფორმება; ამ ტერიტორიებზე ევროკავშირის მისიების არშეშვება... რუსეთს სრული და ექსკლუზიური კონტროლი აქვს მათზე. აი, ასეთი მძიმე მოცემულობაა დღეს ჩვენთვისაც და უპირველესად თავად მავთულხლართებს იქით მცხოვრები ხალხებისთვის.

**“ოკუპაციასთან შერიგებას არავინ აპირებს, ვაპირებთ შერიგებას ხალხთან, რომელიც ოკუპაციის გამოა ჩვენგან დაშორებული”**

განვმეორდები: ჩვენ გვაქვს საერთაშორისო მხარდაჭერა, ურყევი კურსი რუსეთთან მიმართებაში დეოკუპაციის თვალსაზრისით და აქ კომპრომისი არ არსებობს. ის, რასაც ხშირად პოლიტიკური ოპონენტები გვიყენებენ ბრალდებად, ჩემთვის დიდი დაპირისპირების თავიდან აცილების მცდელობაა და არა ოკუპაციასთან შეგუება. ოკუპაციასთან შერიგებას არავინ აპირებს, ვაპირებთ შერიგებას ხალხთან, რომელიც ოკუპაციის გამოა ჩვენგან დაშორებული.

**- შერიგების პროცესში თუ გვაქვს რაიმე შედეგები? არსებობს რაღაც ინდიკატორები, რომელიც იმედისმომცემ წინსვლაზე მიუთითებს?**

- დიახ, არის, მაგრამ სანამ ამ კითხვაზე გიპასუხებდეთ, მინდა, ისიც ვთქვა, რომ ოკუპაციასთან ჩვენი ბრძოლის ხაზი გადის იმ სოფლებზე, რომლებიც მავთულხლართებითაა გაყოფილი. 2013 წლიდან აქტიური პროგრამა დავიწყეთ იმ ადამიანების დახმარების, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში უმკლავებიან მავთულხლართებით შექმნილ რეალობას. ოკუპაციასთან ბრძოლა მხოლოდ ემოცია როდია, ეს არის თუნდაც ის, რომ 14 ათასი ოჯახი ცხოვრობს იქ [მავთულხლართებთან] და არ უშინდება ამას, აგრძელებს ცხოვრებას, შრომას, აკავებენ და მაინც არ ეპუებიან, ბავშვებს ზრდიან, ეს ბავშვები კი კარგად სწავლობენ, მიუხედავად იმისა, რომ „გრადების“ გრიალი ესმით სამხედრო წვრთნების დროს... ჩვენ მათ ვეხმარებით. ხუთი წელია, კომისია არსებობს და დღეს განსაკუთრებით მინდა, ვთქვა, რომ მომავალში მათ კიდევ მეტად დავეხმარებით, რომ გაძლიერდნენ, დამაგრდნენ თავიანთ მიწაზე და შეუმსუბუქდეთ ყოფა.

**“ჩვენ ხალხებს შორის შერიგების რესურსი გაგვაჩნია და დღეს რუსეთი სწორედ ხალხთა შორის ხიდების აღდგენას უპირისპირდება”**

ეს მნიშვნელოვანია მათთვისაც და იმ ადამიანებისთვისაც (ახლა გადავალ პირველ ინდიკატორზე), რომლებიც ცდილობენ, გადმოვიდნენ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე. ამ ადამიანების რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება. მაგალითად, თუ ორი წლის წინ სამჯერ მეტი ადამიანი დააკავეს მხოლოდ ცხინვალიდან საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე გადმოსვლის მცდელობისთვის, ვიდრე საპირისპირო მიმართულებით, შარშან ეს მონაცემი ხუთჯერ იყო გაზრდილი. ეს აჩვენებს, რომ ადამიანებს სჭირდებათ, გაარღვიონ იზოლაცია და მეტი კონტაქტი ჰქონდეთ დანარჩენ საქართველოსთან.

ერთ–ერთი ინდიკატორია იგივე ჯანდაცვის პროგრამაც, რომელიც, შეზღუდვების მიუხედავად, ხალხთა შორის კონტაქტების ზრდის პარალელურად იზრდება,

ამგვარად, მიუხედავად კონფლიქტის ძალიან მძიმე გამოცდილებისა, ჩვენ ხალხებს შორის შერიგების რესურსი გაგვაჩნია და დღეს რუსეთი სწორედ ხალხთა შორის ხიდების აღდგენას უპირისპირდება.

- მაგრამ აქ ალბათ, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, ისარგებლებენ თუ არა [აფხაზები და ოსები] სერვისებით, რომელსაც მათ ცენტრალური ხელისუფლება სთავაზობთ, არამედ ისიც, როგორ და სად ხედავენ ისინი საკუთარ მომავალს: სერვისებით სარგებლობა ხომ აპრიორი იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს წიაღში უნდათ ცხოვრება...

- შეიძლება, ასე ითქვას, მაგრამ მოდით, კარგად გავიაზროთ ორი რამ: 1) მოსახლეობის დიდი ნაწილის ნება აპრიორი უფლებებელყოფილია, რადგან იგი დევნილობაშია და ეს ლეგიტიმაციას აცლის იქ [ოკუპირებულ ტერიტორიებზე] მიმდინარე პროცესებს; 2) დღეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს, მათ უმეტესობას მოსწონს ის პროცესები, რომელიც იქ მიდის? - არ მოსწონს და ამას მე ვარაუდებზე დაყრდნობით არ ვამბობ: ვიცნობ რეალურ ადამიანებს. რომელთაც არ მოსწონთ რუსიფიკაცია, არც სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, განვითარების წართმეული პერსპექტივა, განათლების არსებული სისტემა, კორუფცია, მაღალი კრიმინალი, ნარკოდამოკიდებულება.... არ მოსწონთ, რომ ეს ყველაფერი მათ იდენტობას ემუქრება, რადგან თავს არ აიგივებენ რუსებთან. ეს რეალური მოცემულობაა.

*«თქვენ რომ გამოკითხვა ჩაატაროთ, შესაძლოა, ბევრისგან ვერ მიიღოთ გულწრფელი პასუხი, „ქართველებთან, საქართველოსთან ერთად გვინდა ცხოვრებაო“, მაგრამ დახურულ რეჟიმში ეს მესიჯები გარკვეული პირობებით დღეს უფრო ხმამაღლა ისმის»*

იგივე ცხინვალის რეგიონში მოსახლეობის 80% აღარ ცხოვრობს. აქ გამოდევნილ ქართველებზე აღარ არის საუბარი: ძალიან ბევრი ოსია გასული რუსეთში – ვლადიკავკაზში, რადგან ადგილზე პირობები გაუსაძლისია - გაფართოებულ სამხედრო ბაზას დაემსგავსა ცხინვალი! თქვენ რომ გამოკითხვა ჩაატაროთ, შესაძლოა, ბევრისგან ვერ მიიღოთ გულწრფელი პასუხი, „ქართველებთან, საქართველოსთან ერთად გვინდა ცხოვრებაო“, მაგრამ ეს მესიჯები გარკვეული პირობებით ისმის და დღეს უფრო ხმამაღლა ისმის, ვიდრე ადრე, როცა მათ, ასე ვთქვათ, დახურულ რეჟიმში ან პირადად ესაუბრები.

*“იმდენი კონტაქტი, რამდენიც დღეს ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის არის, ალბათ, მთელი 11 წლის განმავლობაში არ ყოფილა”*

ზემოთ მკითხეთ, რა ხელშესახები ინდიკატორები გვაქვსო... სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: იმდენი კონტაქტი, რამდენიც დღეს (ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში) ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის არის, ალბათ, მთელი 11 წლის განმავლობაში არ ყოფილა. პირადად ჩემი მონაწილეობით (მათ შორის სხვადასხვა უწყებების ჩართულობით) ათეულობით დახურული შეხვედრა ჩატარდა არა მარტო აფხაზებთან, არამედ ოსებთანაც, რომლებიც წინა წლებში უფრო “ჩაკეტილები” იყვნენ. 7 წელია, აქ ვმუშაობ და ასეთი პროაქტიური კონტაქტი იმ რეგიონიდან ფაქტობრივად არ ყოფილა (ამას, რა თქმა

უნდა, მეტი რესურსი სჭირდება, რომელიც, სამწუხაროდ, ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის).

### **- რას უკავშირებთ ამას?**

- ალბათ, იმას, რომ ახალი ნაბიჯები გადავდგით, მოვამზადეთ ახალი გეგმა, რომელიც არადეკლარატიული ხასიათისაა; 9 კანონში შევიტანეთ ცვლილებები, ძალიან დიდხანს ვიმუშავეთ, მათ შორის “ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ” კანონში და შემდეგ კანონქვემდებარე აქტებში რომ ფუნდამენტური ცვლილებები შესულიყო; იუსტიციის, ფინანსთა, ეკონომიკის, განათლების სამინისტროების, მთავრობის დადგენილებები შესაბამისობაში მოვიყვანეთ, რომ გაგვემყარებინა ჩვენი ინიციატივები...

***“ახალი გეგმა აფხაზებსა და ოსებს კონკრეტული სარგებლის მიღების სტატუს-ნეიტრალურ გზებს სთავაზობს... ვერ აღგიწერთ, რამდენად სწრაფად წამოვიდა გამოხმაურებები”***

დღეს ეს „მატარებელი“, რომელიც აფხაზებსა და ოსებს კონკრეტული სარგებლის მიღების სტატუს-ნეიტრალურ გზებს სთავაზობს, უკვე ლიანდაგზე დგას. ჩვენ მათ ვეუბნებით: თუ რეალურად გვინდა საუბარი და თანამშრომლობა, “წითელ ხაზებს” ნუ გადავკვეთთ, ვითანამშრომლოთ არსებულ სივრცეში, რომელიც კიდევ უფრო გაფართოვდება და ამ სივრცეში თანამშრომლობით ხალხი, რომელიც დღეს გაჭირვებულია, მოიგებს: ივაჭრებს, გაუჩნდება წვდომა სხვადასხვა სერვისებზე, მათ შორის – განათლებაზე როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ... არაერთხელ თქმულა, თითქოს არავისთან გვექონია კომუნიკაცია. არადა, ჩატარდა ძალიან ბევრი შეხვედრა, მათ შორის – სხვადასხვა აფხაზურ წრეებთან, სადაც იდეები “გაიტესტა” და ბევრი რამ ერთობლივადაც შემუშავდა. ანუ, ეს ყველაფერი რეალურად შეესაბამება ინტერესს, რომელიც არსებობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელთა მხრიდან. და როდესაც გეგმა გამოქვეყნდა, ვერ აღგიწერთ, რამდენად სწრაფად წამოვიდა გამოხმაურებები, განსაკუთრებით - ვაჭრობის კომპონენტთან დაკავშირებით ...

**- რამდენიმე თვის წინ გქონდათ ერთ–ერთი საპილოტე პროგრამის პრეზენტაცია: ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთ საქართველოს მოქალაქეებთან ერთობლივად უნდა წარმოედგინათ პროექტები. რესურსები შეზღუდული იყო, რამდენადაც ვიცით. იმუშავა?**

- ეს [ახალი გეგმის] ერთ–ერთი კომპონენტია. მიმდინარე წლის აპრილში გამოვაცხადეთ საპილოტე პროგრამა „წარმოე უკეთესი მომავლისთვის“. ახლა დასრულდა აპლიკაციების მიღება და იცით, რა მოხდა? - მივიღეთ 15–ჯერ მეტი განაცხადი, ვიდრე ველოდით. გვექონდა მოლოდინი, რომ მოვიდოდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც საქართველოს მოქალაქეობა გააჩნია, მაგრამ ყველა მხრიდან მოვიდა განაცხადები და ყველას მონაწილეობით.

ეს ჩემთვის უკვე უტყუარი ინდიკატორია იმისა, რომ ინიციატივა საჭირო იყო და უკვე წარმატებულია.

ახლა ჩემი პრობლემა ისაა, რომ კიდევ მეტი რესურსის მობილიზება გვჭირდება, ასევე რისკების ნიველირება, პარტნიორების ჩართვა, რათა ამ გაზრდილ ინტერესს ვუპასუხოთ. ეს არის გამოწვევა, ასევე, რა თქმა უნდა, რთული გარემოც, კერძოდ, ის, რომ შეზღუდვებია გადაადგილებაზე.

**- საინტერესოა მონაწილეთა ასაკიც. ჩემს და შემდომ თაობებს აფხაზებთან და ოსებთან პოზიტიური ურთიერთობის გამოცდილება თითქმის არ გვაქვს. ახალგაზრდების ჩართულობა როგორია, მათ შორის - თქვენს მიერ ნახსენებ შეხვედრებში?**

- ამ პროექტებს ასაკობრივი ცენზი არ გააჩნია, მონაწილეობენ ისინი, ვისაც ინტერნეტთან აქვს წვდომა და შეუძლია პროექტების წერა.

რაც შეეხება შეხვედრებს, აქტიურობენ როგორც ჩემი თაობის ადამიანები (ჩვენ ომის დროს პატარები ვიყავით და იმ უბედურებებში მონაწილეობა არ მიგვიღია), ისე უფრო ასაკოვანი ადამიანებიც. სხვადასხვა პროექტებია ახალგაზრდებთანაც. მათი მხრიდან განსაკუთრებით მაღალი ინტერესი ფიქსირდება განათლების მიმართულებით.

***“შერიგების რესურსი ნამდვილად არსებობს: ახალგაზრდების ერთსაათიანი კონტაქტიც კი საკმარისია სტერეოტიპების დასაწვრთვად”***

მოგეხსენებათ, ქართველი ახალგაზრდები აფხაზ და ოს თანატოლებთან შედარებით, ბევრად უფრო თავისუფალ საინფორმაციო სივრცეში იზრდებიან, შესაბამისად, ანალიზის მეტი საშუალება აქვთ და არ არიან დამძიმებული სტერეოტიპებით. აფხაზი და ოსი ბავშვებისთვის კი, რომელთაც ქართველებთან ურთიერთობის გამოცდილება არ აქვთ, მათთან შეხვერა დღეს ფაქტობრივად გმირობის ტოლფასია. თუმცა ამ ასაკობრივ ჯგუფში განცდა იმისა, რომ რაღაც ალტერნატივა სჭირდებათ, კიდევ უფრო გამძაფრებულია. გარდა ამისა, პირობითად ერთსაათიანი ურთიერთობაც კი საკმარისია საიმისოდ, რომ წლების განმავლობაში ნაშენები სტერეოტიპები დაიმსხვრეს. ხოლო თუ ამ ბავშვების კომუნიკაცია დღეების განმავლობაშია შესაძლებელი, ხშირად შეხვედრები ხანგრძლივი კონტაქტებით და მეგობრობით გრძელდება.

მქონდა შესაძლებლობა, უამრავ მსგავს შეხვედრას დავეკვირვებოდი და ეს პრინციპი უტყუარად მუშაობს, რადგან ძალიან ბევრი ფუნდამენტური რამ აქვთ საერთო ჩვენს ეთნოსებს. მიუხედავად 25-წლიანი გაუცხოების ფაქტორისა და იმისა, რომ დღესაც მავთულხლართებით გვაშორიშორებენ, ძაფების გაბმა მარტივია. მიუხედავად რთული გარემოსი, კონფლიქტისა, რომლის უარყოფაც არ შეიძლება და წარსულს ვერ შევცვლით, მომავალში ვხედავ შერიგების რესურსს.

ამაზე ჰიპოთეტიურად არ ვსაუბრობ: ეს კონტაქტები, რომელიც დამრა შერიგების პოლიტიკამ, ამის თქმის საფუძველს მაძლევს. პრობლემა ისაა, რომ ხშირად ამას საჯაროდ ვერ ვაკეთებთ.

- ზემოთ ბრძანეთ, ამ წლების განმავლობაში რომ ომში არ ვიყავით ჩათრეულები და შევძელით პროვოკაციების ნიველირება, შედეგიაო. მაგრამ ალბათ, დამეთანხებით, რომ მნიშვნელოვანია მოსახლეობაში უსაფრთხოების შეგრძნების არსებობაც. ამ კუთხით როგორ შეაფასებდით სამთავრობო გუნდის წარმომადგენლების ამასწინანდელ მოქმედებას, რომლებიც ერთი კერძო ტელევიზიის ერთი ჟურნალისტის მიერ რუსეთის პრეზიდენტის გინების შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით მართავდნენ ბრიფინგებს და აკეთებდნენ განცხადებებს, რუსეთის მხრიდან რაოდენ დიდი საფრთხის წინაშე გვაყენებდა ჟურნალისტის ეს ნაბიჯი?... ხელისუფლების მსგავსი რიტორიკა თუ ემსახურებოდა მოსახლეობაში უსაფრთხოების განცდის განმტკიცებას?

- ვფიქრობ, არასამართლიანია იმის თქვა, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება რაღაც აჟიოტაჟის განცდას თავად ქმნის... ერთი რამ კარგად უნდა გავისიგრძეგანოთ ყველამ - პირველ რიგში, ხელისუფლებამ, რომელსაც ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა აკისრია, მაგრამ სხვებმაც, მათ შორის - პოლიტიკურმა აქტორებმა ოპოზიციაში, მედიამაც და სამოქალაქო აქტივისტებმაც, რადგან არავინაა გათავისუფლებული პასუხისმგებლობისგან: გეოგრაფიულად არ ვართ ევროკავშირის შუაგულში, სადაც დამშვიდებული, უსაფრთხო სამეზობლოა, ყოველდღიური რისკების ნიველირების რეჟიმში ვიმყოფებით. იმ კერძო ჟურნალისტმა თავად მოიფიქრა, ვილაცამ დაავალა, დააძალა თუ როგორ იყო, არ ვიცი, მაგრამ ზუსტად ვიცი - პატრიოტიზმი ის კი არაა, გულზე მჯიღს უკეთ ვინ დაირტყამს, არამედ პასუხისმგებლობის აღებაა იმაზე, დღეს რომ რაღაცას გავაკეთებ, ხვალ ამას რა მოჰყვება ჩემთვის, ჩემი მეზობლისთვის, საზოგადოებისთვის, ქვეყნისთვის. თუ მე ამ კითხვას არ ვსვამ, ესე იგი, უპასუხისმგებლო ვარ. აბა მკითხეთ, როგორი იყო, ატოცში რომ ჩავედი და რუსი სამხედროები ჩემს თვალწინ პალოებს არჭობდნენ, რა ემოციები მიპყრობდა მაშინ?... მაგრამ როგორც სახელმწიფო მინისტრი, ვალდებული ვარ, ემოციების ფონზე არ მივიღო გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა, დააზიანოს ჩემი ქვეყანა და საზოგადოება...

- მაგრამ მნიშვნელობა აქვს რეაგირების როგორც შინაარსს, ისე ფორმასაც... აუცილებელი იყო მსგავსი ისტერია?

- თუ ნახეთ, თავად რუსეთში რა ტიპის რეაგირება მოჰყვა ამას? ეს რაციონალური და ადეკვატური რეაგირება არ არის, ხშირად იგი [კრემლის შემდგომი ნაბიჯებისთვის] საბაბის შექმნაზეა აგებული - ესეც ხომ ვიცით?! მთავარია, ეს საბაბი არ მივცეთ...

- მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ რეალური საბაბი არ სჭირდება (მაგალითად, ჯერ კიდევ ჟურნალისტის მიერ პუტინის გინებამდე, 20 ივნისს, დეპუტატ გავრილოვის ცნობილი ინციდენტის გამო საქართველოს მოქალაქეების სრულიად სამართლიანი პროტესტი და მშვიდობიანი ანტისაოკუპაციო აქცია კრემლმა «რუსოფობიად» შეაფასა)?!... კითხვას გავიმეორებ: პუტინის მიმართ ჟურნალისტის უშვერი სიტყვების შემდეგ ხელისუფლების ამგვარი რეაქცია ისტერიულ ფონს არ ქმნიდა?



- დროში დავალაგოთ: გავრილოვი [საქართველოს პარლამენტის სპიკერატში] ჯერ აქეთ სკამზე იჯდა (და ესეც მიუღებელი იყო), მერე უცებ - სპიკერის სკამზე, რაღაც დაუგეგმავად წავიდა...

- გასაგებია, მაგრამ ამაზეც ხომ ხელისუფლებაა პასუხისმგებელი, რადგან შს მინისტრმაც აღიარა, ეს ვიზიტი უსაფრთხოების ჭრილში საერთოდ არ განგვიხილავსო...

- ამ პასუხისმგებლობას არავინ გაჰქცევია: გადადგა პარლამენტის თავმჯდომარე...

- კი, მეორე დღეს...

- მართალია, მეორე დღეს, მაგრამ გადადგა. ასე არ ხდება, რომ პარლამენტის თავმჯდომარეები რაღაცის გამო გადადგნენ. მან აიღო პასუხისმგებლობა თავის თავზე. ვინმე ამას სწორ, საკმარის ნაბიჯად აფასებს თუ არა, ეს ნაბიჯი ნიშნავს, რომ მან პასუხისმგებლობა აიღო. ეს [გავრილოვის ვიზიტი პარლამენტში] არ უნდა მომხდარიყო. ჩემთვის, როგორც ადამიანისთვის, რომელიც ნახევარ სამუშაო დროს მავთულხლართებთან ვატარებ, ეს მძიმეზე მეტია, მაგრამ კიდევ ერთი მომენტი: გავრილოვი იყო და საღამოს ქვეყნიდან წავიდა. ეს მძიმე ეპიზოდი იყო, ამას მოჰყვა რეაგირებები, იყო პროტესტი... 40 კილომეტრში 10 000 რუსი სამხედრო გყავს...

- ანუ?

- ის მძიმე მოცემულობა, რის გამოც ჩვენ ეს [გავრილოვის საკითხი] გავაპოტესტეთ რეალურად, დადგა 2008 წლის ავბედით 7 აგვისტოს და ეს არის ის მძიმე ფაქტორი, რომელიც რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. მე თანაზიარი და სოლიდარული ვარ ყველა იმ ადამიანის, ვინც პროტესტი გამოთქვა, ჩვენც გამოვთქვით....

- და რა აჩვენა ამ ეპიზოდმა, თუნდაც იმან, რომ გავრილოვი ერთ სავარძელში იჯდა და შემდეგ გადაჯდა სპიკერის სავარძელში? - ძალიან მოწყვლადები ვართ რუსული პროვოკაციების წინაშე?

- მე ვერ ვივარაუდებ, მან ამ ნაბიჯით რა გააკეთა. შეიძლება, ეს ძალიან მიზანმიმართული ნაბიჯიც იყო. მოწყვლადები ვართ, მაგრამ კარგი, რაც აჩვენა, ისაა, რომ მგრძნობელობა ძალიან მაღალია. აქ ტურისტებს, ხალხს არავინ ერჩის, მაგრამ [კრემლის] პოლიტიკურ რეჟიმთან აბსოლუტური შეუთავსებლობა გვაქვს და გვექნება, ვიდრე ოკუპაციაა, ამან აჩვენა, რადგან [ქართულ] საზოგადოებაში მგრძნობელობა მაღალია და ეს სწორია. მაგრამ შემდეგ რა მოხდა? პასუხისმგებლობა აღებულია და შემდეგ სად გადაწყდა სიტუაცია ისე, რომ ჩვენვე გავხდით საფრთხის შემქმნელები ჩვენი მდგრადობისთვის?! ხელისუფლება, ესა თუ ის პარტია მოგვწონს თუ არა - ამაზე არაა საუბარი, ოკუპაციასთან გამკლავების ჩვენი ძალა იმაშია, რომ ჩვენი ქვეყანა რაღაცნაირად წინ წავიდეს - არ გავჩერდეთ, არ ჩავერთოთ ომში, არ დავუშვათ მსხვერპლი და უბედურება, რომელიც გამოვიარეთ, შევინარჩუნოთ ჩვენი კურსი, ეკონომიკურად ცოტა მეტად განვვითარდეთ, ავაგოთ დემოკრატია - ინსტიტუტები, არჩევნები ჩავატაროთ და წინ ასე წავიდეთ. იმ საღამოს რა მოხდა? - პროტესტი



ვილაცებმა გადატეხეს... როგორც მოქალაქე, როდესაც ვუყურებ, რომ ჩემს პოლიციელებს ურტყამენ იმიტომ, რომ ვილაც უნდა შეიჭრას პარლამენტში, დემონსტრაციულად დაარღვიოს ინსტიტუტი და ინსტიტუციური მდგრადობა, ვისაუბრო პოლიტიკურ პარტიებზე და პოლიტიკურ პირებზე... ჩვენი ხელით რატომ ვარღვევთ ჩვენს ინსტიტუციურ მდგრადობას?

- ეს სამართლებრივი შეფასების საკითხია...

- არა მართლ. ამის მიმართ სოლიდარული ვერავინ იქნება, რადგან ვარღვევთ იმას, რაც უნდა დავიცვათ. იმიტომ მგონია, რომ ეს ორი რამ ერთმანეთისგან უნდა გავყოთ. სამართლიანი პროტესტი, მოწონება-არმოწონება, - ეს ყველაფერი ლეგიტიმურია შიდა პოლიტიკურ პროცესში, როდესაც ძალადობაში არ გადადის საქმე. ყველას აქვს გამოხატვის შესაძლებლობა და პოლიტიკურ გემოვნებაზეც არავინ დავობს, მაგრამ მიმაჩნია, რომ რაღაც საკითხები სახელმწიფოში არაფრით არ უნდა ხდებოდეს პოლიტიკური სპეკულაციების საგანი.

- და აგვისტოს ომი მუდმივად რატომ არის პოლიტიკური სპეკულაციების საგანი? ეს რატომ არ მთავრდება? ამ დღეებში წავიკითხე, მაგალითად, მმართველი გუნდის ერთ-ერთი ლიდერის გაია ვოლსკის ფეისბუქ-სტატუსი... ამ საკითხში პოლიტიკური დივიდენდის მოპოვება უფრო მნიშვნელოვანია? მით უფრო, რომ უამრავი პრობლემა გვაქვს და 2008 წლის ომთან დაკავშირებით ორ საერთაშორისო დავას ვაწარმოებთ: სტრასბურგში გადაწყვეტილებას ველოდებით, ჰააგაში კი მძიმე პროცესი უნდა იყოს და გვყავს ძლიერი მეტოქე, გვჭირდება სერიოზული მხარდაჭერა...

- საპრეზიდენტო არჩევნების დროს უამრავმა ჟურნალისტმა ჩამწერა დაუსრულებელი კითხვით „ვინ დაიწყო ომი?“...

- იმიტომ, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი აყენებდა ომის რუსეთის მიერ დაწყებას კითხვის ნიშნის ქვეშ ...

- ერთი წუთით, მე მგონია, რომ საზოგადოებაშია ასეთი აჟიტირება..

- და ვინ ქმნის ამ ფონს?

- დააკვირდით: დღეს ჩვენ – ხელისუფლებას „რუსეთუმეებად“ გვნათლავს (რასაც მე, როგორც ხელისუფლების ნაწილი, ვერაფრით მივიღებ ვერავისგან) ძალა, რომელმაც, ნებისთნე უნებლიედ, გაუფრთხილებლობით, ემოციურად, უგუნურებითა თუ გააზრებულად, 11 წლის წინ ის შედეგი დააყენა, რომელსაც მე და ჩემი კოლეგები დღეს ყოველდღიურად ვუმკლავდებით. უკაცრავად, მაგრამ დღეს რომ გამოაცხადეს, სასიქადულო მომენტი იყო (თუ რაღაც მსგავსი, აღარ მახსოვს)... სასიქადულო იყო შინდისის გმირების ისტორია, თორემ თავისთავად მოვლენა როგორ იყო სასიქადულო?! უბედურება გაიარა ჩვენმა მრავალტანჯულმა ქვეყანამ, 7 აგვისტოდან დაწყებული: უამრავი ხალხი დაიღუპა, 100–ზე მეტ სოფელზე კონტროლი დაიკარგა, დღეს რომ მოტრიალდება და თითს გამოიშვერს, რომ თურმე, ჩვენ ვატარებთ რუსეთის

ინტერესებს, - ეს აბსოლუტურად მიუღებლად მიმაჩნია და სწორედ ეს არის სპეკულაცია.

**“უნდა დასრულდეს შეკითხვები „ვინ დაიწყო ომი?“, რადგან პასუხი ერთია - ეს არის რუსეთი, ოკუპანტია რუსეთი, სხვანაირად არ და ვერ იქნება”**

უნდა დასრულდეს ჩვენს ქვეყანაში შეკითხვები „ვინ დაიწყო ომი?“, რადგან პასუხი ერთია - ეს არის რუსეთი, ოკუპანტია რუსეთი, სხვანაირად არ და ვერ იქნება. ერთადერთი კითხვა, რომელიც შეიძლება, შეტრიალდეს, იმაში მდგომარეობს, დღეს ჩვენ საკმარისს ვაკეთებთ თუ არა, რომ პროვოკაციაში არ ჩავეერთოთ?; წინა ხელისუფლებამ საკმარისი გააკეთა თუ არა, ეცადა მაინც თუ არა, რომ ეს აზვირთებელი საფრთხე თავიდან აგვეშორებინა? აქ ამაზეა საუბარი და არა იმაზე, ვინ არის დამნაშავე და ვინ უნდა გადაეცეს ტრიბუნალს.

- მაგრამ იგივე გია ვოლსკი, მაგალითად, ამ დღეებში წერდა, რომ «საკაშვილმა რუსეთის ბრძანებით დაბომბა ცარიელი ტერიტორია, ეს გადაიღო და გაავრცელა»; მანამდე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა და მმართველი გუნდის წევრებმაც გაიმეორეს, «ოპოზიციას აქ რუსი ჯარისკაცების ხილვა სურს და არა ტურისტებისო»... მესმის, რომ ოპოზიციას თავისი დღის წესრიგი აქვს, მაგრამ მმართველ გუნდს მეტი პასუხისმგებლობა არ ჰმართებს?

- მე ამ დღის წესრიგის არ მესმის...

- გასაგებია, მაგრამ მე, როგორც მოქალაქეს შემიძლია, მათი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი იმით დავაცინო, რომ მივიღე არჩევნებზე და ხმა არ მივცე უბრალოდ, - მეტს ვერ მოვთხოვ, მოქმედი ხელისუფლება კი დღეს ჩემი დაქირავებულია....

- დიახ, გეთანხმებით...

- თანაც მსგავსი განცხადებები ხომ არანაირად არ ქმნის უსაფრთხოების განცდას...

- ბოლო დღეები ომის, ტრაგედიის გახსენების დღეებია და სხვა რამეზე ფიქრი ძალიან რთულია, ამიტომაც ჩნდება მსგავსი დისკურსი. ეს გასაგებია. მაგრამ არ მესმის ოპოზიციის იმ დღის წესრიგის - თითის მოშვერის. დიდი ბოდიში, მაგრამ ეს არ არის ის სივრცე, სადაც ბევრი აქვს სალაპარაკო კონკრეტულ ოპოზიციას: პოლიტიკის წარმატებულობა ისაზღვრება შედეგით, შედეგი კი, რომელიც 2007 წლის 7 აგვისტოს მივიღეთ, იყო და არის უმძიმესი.

- გულისხმობთ იმას, რომ შეიარაღებული დაპირისპირება ვერ იქნა აცილებული?

- ვერ იქნა აცილებული და ვინ რა გავაკეთეთ, რომ აგვეცილებინა?

- იყო შესაძლებელი აცილება?

- შევძლებდით-ვერ შევძლებდით - ეს ყველაფერი სპეკულაციაა, მაგრამ სპეკულაცია აღარაა, თუ წავალთ რეტროსპექტივაში და ვიტყვით, გავაკეთეთ კი ყველაფერი

იმისთვის, რომ აისბერგს არ შევჯახებოდით? ამ არიდებაში ხომ ადამიანების სიცოცხლეა, კონკრეტულ რაღაცეებზეა საუბარი – მოსახლეობაზე...

- ამ ლოგიკით, ესეც სპეკულაციაა, რადგან დღემდე არანაირი შემფასებელი დოკუმენტი არ გვაქვს. თავდაცვის სამინისტრო აცხადებდა, ვიკვლევო, მაგრამ დასკვნა არ გვინახავს...

- მაგრამ შედეგს ხომ ვხედავთ?! და აქ მხოლოდ 2008 წელზე არ ვსაუბრობ. მაგალითად გეტყვით, რომ ამ აპარატში 2004 წლიდან ვმუშაობ და მახსოვს, რომ აპარატის მაშინდელმა ხელმძღვანელმა გოგა ხაინდრავამ, რომელიც ცხინვალში მიემგზავრებოდა, ტელევიზიით შეიტყო, რომ ერგნეთი ძალისმიერად იხურებოდა... თავად ერგნეთის დახურვაც ძალიან დიდი შეცდომა იყო. როგორც მკვლევარი ცხინვალის მიმართულებით, იქ ხშირად ჩავდიოდი და შემიძლია, გითხრათ, რომ ყოფით დონეზე კონფლიქტი ამოწურული იყო. ოსებს ვხვდებოდი - ე.წ. აპოლიტიკური ელიტების წარმომადგენლებს. ვინც ამ სფეროშია, იციან, რომ ხალხი შერეულად ცხოვრობდა, ვაჭრობდა... კი ბატონო, ეს არალეგალური იყო, მაგრამ წარმოადგენდა სამშვიდობო ინსტრუმენტს. ისრაელში და პალესტინაში ძალით ქმნიან ასეთ ინსტრუმენტებს, ჩვენ კი ბუნებრივად გაჩენილი (შეიძლება, ვიღაცის უყურადღებობით, ან ვიღაცამ თავის დროზე იფიქრა, რომ ხელი არ შეეშალა) ერთ დღეში დავანგრეთ! და ეს იქცა ათვლის წერტილად. შემდეგ მთელი კასკადი იყო ნაბიჯების, რომელიც არასწორად მიმაჩნია. თორემ ის, რომ რუსეთია ოკუპანტი, სადავო არ არის. რუსეთს გეგმები ედო დაპყრობის და თუ ეს არ იცოდნენ, ვალდებულები იყვნენ, სცოდნოდან, ხოლო თუ იცოდნენ, მაშინ ვალდებულები იყვნენ, ემოქმედათ რაციონალურად და არა ემოციურად, თუნდაც ეს ყოველთვის არ ყოფილიყო პოპულარული. ამაზეა აქ საუბარი.

ზოგადად, ამ დისკურსის არსებობას პირადად მე ძალიან მტკივნეულად აღვიქვამ, რადგან მიმაჩნია თემად, რომლის ირგვლივაც აღარ უნდა იყოს აზრთა სხვადასხვაობა. აბა ჩადით იმ სოფლებში [საოკუპაციო ხაზთან]: იცით, ეს იმ ხალხზე, ვინც პირველ ფრონტზე დგას, როგორ მოქმედებს? როგორ აღიქვამენ, იქიდან როგორ ჩანს პოლიტიკური პარტიების მხრიდან ერთმანეთისთვის თითების გამოშვებები?! ძალიან მტკივნეულად აღიქვამენ, რადგან ისინი მართლაც პირველი მებრძოლები არიან, მათ უნდა გავუფრთხილდეთ და მათზე უნდა ვიფიქროთ...

- როდესაც მავთულხლართებთან მაცხოვრებლები ახსენეთ, არ შემიძლია, არ გავიხსენო დიცილი ილია ბერუაშვილის საქმე: საკუთარ სახელმწიფოსთან დავობს იმ მიწის დარეგისტრირებაზე, რომელიც ოკუპანტების სამიზნე, მადლობა ღმერთს, ჯერ არ გამხდარა...

- მაქვს რწმენა და იმედი, რომ ეს საკითხი მალე დადებითად გადაწყდება...

- ამ ადამიანმა მოიგო სასამართლო პროცესები და სახელმწიფოს მოუწევს კიდევ, საკითხი გადაწყვიტოს... მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ საკითხი ასე დადგა...

- დეტალებს ვერ მოგახსენებთ, რადგან ჩვენი ჩართულობით ეს არ ხდება. როგორც ჩანს, არსებობს რაღაც სამართლებრივი ნიუანსები, რომლებიც დახვეწას საჭიროებს, რათა მსგავსი პრობლემები არავისთან მიმართებაში აღარ იქმნებოდეს. ზოგადად კი პოლიტიკური მიდგომა, რომელზეც ჩვენც პასუხისმგებლები ვართ, იმაში მდგომარეობს, რომ გამყოფი ხაზების გასწვრივ მაცხოვრებლებს დავეხმაროთ, კიდევ უფრო გაძლიერდნენ. და გვაქვს კარგი მაგალითებიც: ნიქოში უზარმაზარი მშვიდობის ბალი აქვს გაშენებული ერთ-ერთ პირს. როდესაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ან მის მიმდებარედ ვმოქმედებთ, ყველაფერი არ ჯდება ხოლმე სწორხაზოვან სამართლებრივ რეგულაციებში. ამიტომაც შეგვაქვს კანონებში ცვლილებები, დათქმები. შესაძლებელია, ამ შემთხვევაშიც ეს იყო შემაფერხებელი, მაგრამ არა ის, რომ ვიღაცას არ სურს, მოსახლეს დაეხმაროს.

- მავთულხლართებთან მცხოვრებთა პრობლემებზე საუბრისას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მუშაობის ეფექტურობის თემასაც მინდა, შევეხო. არამც და არამც არ მსურს, დავაკნინო მისიის შრომა, მაგრამ მოწმენი ვყოფილვართ იმისა, რომ ამა თუ იმ მძიმე ფაქტის, თუნდაც გიგა ოთხოზორიას მკვლელობის დროს მისიის თანამშრომლები ადგილზე არ იმყოფებოდნენ და პოსტ-ფაქტუმ მისულან. გამოითქვა ასევე პრეტენზიები „ცხელ ხაზთან“ დაკავშირებით - 18:00 საათის შემდეგ მასთან კავშირზე გასვლა პრობლემურიაო... თუ გქონიათ ამ საკითხებზე მისიასთან საუბარი? მაგალითად, იმაზე, რომ თანამშრომელთა რაოდენობა გაზარდონ, ან დრონით აღიჭურვონ, რათა შემდგომში მძიმე შემთხვევებისთვის მეტი მტკიცებულებები გვექონდეს?

- ჩვენ EUMM-თან პოლიტიკური ბმა გვაქვს, არსებობს კიდევ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და შს სამინისტრო, რომლებთანაც ისინი მუშაობენ. ბევრი რამ მოგვარდა, გაუმჯობესდა „ცხელი ხაზის“ მუშაობაც. ვფიქრობ, რომ ზოგადად, ეს კარგი თანამშრომლობაა.

- ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების საკითხსაც შევეხოთ. ამასწინათ ამ მრავალწლიანი ფორმატის არაეფექტურობაზე ისაუბრა პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა, გარკვეული ცვლილებების აუცილებლობის თაობაზე იყო ერთ-ერთი თანათავმჯდომარის – ტოივო კლაარის განცხადებებიც. ჩვენ ცოტა ხნის წინ ამ საკითხზე აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარესაც ვესაუბრეთ და მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ფორმატი შედეგებზე უფრო მეტად უნდა იყოს ორიენტირებული და საერთაშორისო მექანიზმები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ რუსეთზე ზეწოლის მოსახდენად. ანუ, არის რაღაც სივრცეები, სადაც მაქსიმალური ძალისხმევა არ გვაქვს ჩადებული?

- ვერაფრით ვიტყვი, რომ მაქსიმალური ძალისხმევა არ გვაქვს ჩადებული. პირადად მე მინიმუმ, 14 რაუნდი მაქვს ჩატარებული მეორე სამუშაო ჯგუფის ფორმატში ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელის რანგში... როდესაც არაეფექტურობაზე ვსაუბრობთ, მოცემულობა უნდა გავითვალისწინოთ: მთავარ საკითხებში არანაირი გარღვევა, წინსვლა იმიტომ არ გვაქვს (რუსეთი ძალის არგამოყენების ვალდებულებას არ იღებს,

საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმებს ვერ გამოქმედებთ, დევნილების დაბრუნების მიმართულებით არანაირი პროგრესი არ გვაქვს), რომ რუსეთს აქვს ასეთი პოზიცია: მას ეს ფორმატი ძალიან პოლიტიზირებული აქვს და უნდა, თავისი პოლიტიკის ლეგალიზებისთვის გამოიყენოს.

მაგალითად, იყო ერთ–ერთი ასეთი შემთხვევა - მიწაზე წვდომის პრობლემა. შემდეგ გლებს მოსავლის აღების უფლება მისცეს. მაგრამ როდესაც ჟენევაში დგება მსგავსი საკითხი, გვპასუხობენ, “ჯერ აღიარეთ საზღვარი და შემდეგ ვილაპარაკოთ”... და მსგავსი მანიპულაციების მსხვერპლი ხდება ძალიან ბევრი თემა, როგორცაა, მაგალითად, საფლავების მონახულება, სადღაც გადასვლა და ა.შ.

ამიტომ ვცდილობთ, სხვა ფორმატებიც გამოვიყენოთ. ხშირად ჟენევაში იწყება გარკვეული საკითხი და შემდეგ ჟენევის გარეთ პოულობს თავის სიცოცხლეს, სხვა დიალოგების რეჟიმში (ეს დიალოგები არსებობს, უბრალოდ საჯარო სივრცეში არ ჩანს). ჩვენ ძალიან ბევრ თემაზე გვაქვს დიალოგი - იქნება ეს გარემოს საკითხები, არქივების, კულტურის, მოსწავლეების მიმოსვლის, განათლების... შედეგებით ჯერ ვერ დავიკვებნით, მაგრამ გარკვეული პროცესი არის, მათ შორის - იქ მშობლიურ ენაზე განათლების კუთხით. და ყოფილა შემთხვევები, როდესაც ამ პროცესს რაღაცისთვის მიუცია ბიძგი, ან ჩვენ შეგვიტანია გარკვეული საკითხები, რომ ჟენევა ცოტა “გამოცოცხლებულიყო”.

***“ჟენევას აქვს უნიკალური ფუნქცია: არ არსებობს სხვა ფორმატი, სადაც რუსეთი წარმოდგენილია, როგორც კონფლიქტის მხარე და აქვს შესაბამისი ვალდებულებები”***

მგონია, რომ ჩვენი ძალისხმევა გაგრძელდება, რათა მთავარ და სხვა, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვან, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ საკითხებზე რაღაც შედეგები გვექონდეს. იქიდან ამ თემებს არ მოვხსნით.

ჟენევას აქვს უნიკალური ფუნქცია: არ არსებობს სხვა ფორმატი, სადაც რუსეთი წარმოდგენილია, როგორც კონფლიქტის მხარე და აქვს შესაბამისი ვალდებულებები...

**- რომლებსაც არ ასრულებს...**

- არ ასრულებს, მაგრამ მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა მას ამ ვალდებულებებს კვარტალში ერთხელ შეახსენებს და ამას თავისი დანიშნულება აქვს, თავისი დატვირთვა მომავლისთვის და მიზნისთვის, რომელიც ჩვენს დეოკუპაციას უკავშირდება. თუ გავფლანგეთ ყველა დიპლომატიური რესურსი ან პოლიტიკური კაპიტალი ამ პროცესში, არაფერი გამოვა. ამიტომ ვუფრთხილდებით, გავუფრთხილდებით და მეტიც, ვეცდებით, ეს ყველაფერი კონსტრუქციულად გამოვიყენოთ.

- ანუ პრეტენზიას, რომელსაც პოლიტიკური ოპონენტები და რიგი ანალიტიკოსები გიყენებენ საერთაშორისო ასპარეზზე არასათანადო აქტიურობის თაობაზე, არ იღებთ...

- არა.

- მაგრამ ფაქტია, რომ არსებულ საერთაშორისო კონიუნქტურას ვერ ვტყბთ. გვაქვს რაიმე “გეგმა B”?

- რას გულისხმობთ?

- რუსეთზე მაქსიმალური ზეწოლის მიღწევის გზებს ჩვენი საბოლოო მიზნის მისაღწევად. ვხედავთ, რომ დღეს უკრაინასაც აქვს ამ კუთხით პრობლემები: თუნდაც ის, რომ რუსეთს ევროსაბჭოში აღუდგინეს ხმის უფლება...

- მართალი ბრძანდებით. ჩვენ ხომ დიდი გეოგრაფიის ნაწილიც ვართ...

- და ამ პირობებში ჩვენი «გეგმა B» რაში მდგომარეობს?

- იმაში, რომ ჩვენი ინტერესი გავატაროთ, მიუხედავად იმისა, რომ საერთო ფლანგზე რუსეთი ძლიერდება, ევროსაბჭოში ბრუნდება... ეს ხომ საქართველოს გამო არ ხდება, უფრო ფართო კონიუნქტურაა, ფართო გადაღებები... მსოფლიო პოლიტიკაშიც ძალიან რთული პროცესებია.

**“თუ ვიცხოვრებთ საკუთარი ილუზიების ტყვეობაში, არაფერი გამოვა. ამიტომ გვჭირდება მეტი მანევრი და მეტი გონიერება”**

ჩვენ რაც შეგვიძლია, ისაა, რომ ყოველთვის პულტზე გვექონდეს ხელი, ეს კარგად უნდა აღვიქვათ და ჩვენი ადგილი, რესურსი ამ სისტემასა და სივრცეში სწორად შევაფასოთ. თუ ვიცხოვრებთ საკუთარი ილუზიების ტყვეობაში, არაფერი გამოვა. ამიტომ გვჭირდება მეტი მანევრი და მეტი გონიერება. და ვერაფრით დავეთანხმები, რომ საერთაშორისო ასპარეზზე რაღაც მოვადუნეთ.